

ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N5ბ საცხოვრებელი სახლის N34 ბინაზე,
მოქალაქე ნათელა დვალიშვილისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა
და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ბუკიას ქუჩა N5ბ საცხოვრებელი სახლის N34 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ნათელა დვალიშვილის განცხადება /2013 წ. 05.06 Nდ-6149/ რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N5ბ საცხოვრებელი სახლის N34 ბინა/ საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქ.ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N5ბ საცხოვრებელი სახლის N34 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ნათელა დვალიშვილს.

2. ქ.ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცეციფურიშვილი/ ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N5ბ საცხოვრებელი სახლის N34 ბინაზე /საერთო ფართობი 49,19 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი 26,07 კვ.მ. დამხმარე ფართობი 23,12 კვ.მ./ მოქალაქე ნათელა დვალიშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

თ.თოფურიძე